


საგნების არსებული ნაშთის ჩამოწერა

ორის ბუღალტერიაში შესაძლებელია საგნებზე არსებული სრული ნაშთის ჩამოწერა, ამისათვის შედით **ბუღალტერია/ მაკრო ოპერაციები/საგნების არსებული ნაშთის ჩამოწერა**, იხ.ეკრანს:



Macro (Write off all items)

ოპერაციის თარიღი
28.04.2022


ღირებულების ცენტრი
საწყობი

მშობელი ანგარიში საგნის ნაშთების ჩამოსაწერად
1610 საკონელი

ხარჯის ანგარიში საგნის ჩამოსაწერად
7210 გაციდული/შემენილი საკონელი


OK შევწყვიტოთ

ველში „ოპერაციის თარიღი“ მიუთითეთ საგნების ჩამოწერის თარიღი.
ველში „ღირებულების ცენტრი“ მიუთითეთ ღირებულების ცენტრი (საწყობი) , რომელი საწყობიდანაც გსურთ საგნების ჩამოწერა.ღირებულების ცენტრი შეგიძლიათ აირჩიოთ ღილაკზე დაჭერით (ან კლავიატურაზე Alt+B),გადით ღირებულების ცენტრის სიაზე



მონიშნეთ მაუსით ის ღირებულების ცენტრი (საწყობი) რომლიდანაც უნდა ჩამოწერთ საგნები და დააჭირეთ ღილაკზე „ავირჩიოთ“.

ველში „მშობელი ანგარიში საგნის ნაშთის ჩამოსაწერად“ მიუთითეთ ის მშობელი ანგარიში, რომლის ქვეშ გახსნილი საგნების ჩამოწერაც გსურთ. ჩაწერეთ მშობელი ანგარიში ან ღილაკზე დაჭერით (ან კლავიატურაზე Alt+B),გადაით ანგარიშების სიაზე:



მონიშნეთ მაუსით საგნის მშობელი ანგარიში რომლიდანაც უნდა ჩამოწერთ საგნები და დააჭირეთ ღილაკზე „ავირჩიოთ“.

ველში „ხარჯის ანგარიში საგნის ჩამოსაწერად“ მიუთითეთ ხარჯის ის ანგარიში, რომელზეც უნდა ჩამოწერთ საგნები. ხარჯის ანგარიში შეგიძლიათ მიუთითოთ შემდეგ ნაირად ჩაწეროთ ხარჯის ანგარიში ან ღილაკზე დაჭერით (ან კლავიატურაზე Alt+B),გადაით ანგარიშების სიაზე:

ანგარიში	დასახელება
7180	რემონტის დანახარჯები
7185	სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირება
7190	სხვა საოპერაციო ხარჯები
7200	რეალიზირებული საქონლის თვითღირებულება (სავაჭრო საწარმო...
7210	გაყიდული/შემენილი საქონელი
7220	შემენილი საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა
7290	სასაქონლო/მატერიალური მარაგის კორექტირება
7300	მიწოდების ხარჯები
7310	რეკლამის ხარჯები
7320	შრომის ანაზღაურება და საკომისიო გასამრჯელო
7330	შრომის ანაზღაურებაზე და შრომის ანაზღაურებაზე დანარიცხები
7340	ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები
7390	მიწოდების სხვა ხარჯები
7400	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები
7410	შრომის ანაზღაურება

მოძებნეთ სასურველი ხარჯის ანგარიში დადექით მასზე და დააჭირეთ ღილაკს „ავირჩიოთ“

Macro (Write off all items)

ოპერაციის თარიღი
28.04.2022

ღირებულების ცენტრი
საწყობი

მშობელი ანგარიში საგნის ნაშთების ჩამოსაწერად
1610 საქონელი

ხარჯის ანგარიში საგნის ჩამოსაწერად
7210 გაყიდული/შემენილი საქონელი

OK შეწყვიტოთ

იმისათვის რომ შესრულდეს ჩამონწერის ოპერაცია დააჭირეთ ღილაკს "OK"